

შპს ელბა ექსპორტი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს ელბა ექსპორტი
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები	9
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10
7. ძირითადი საშუალებები.	10
8. სავაჭრო ვალდებულებები	10
9. ამონაგები	10
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
11. მიწოდების დანახარჯები	11
12. ადმინისტრაციული დანახარჯები	11
13. სხვა დანახარჯები	12
14. ფინანსური შემოსავალი	12
15. ფინანსური ხარჯები	12
16. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12
17. სხვა ვალდებულებები	13
18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	13
19. ფინანსური რისკების მართვა	13
20. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	14
21. დამფუძნებლებზე და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული სესხები	14
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
23. შემდგომი მოვლენები	15
24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	01.01.2021	01.01.2020
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	176,387	138,889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,601,784	817,410
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	158,041	913,097
სულ მიმდინარე აქტივები		1,936,212	1,869,396
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	140,571	155,744
არამატერიალური აქტივები		1,037	1,452
საინვესტიციო ქონება		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში			
სულ გრძელვადიანი აქტივები		141,608	157,196
სულ აქტივები		2,077,819	2,026,592
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	(492,022)	(670,370)
მოკლევადიანი სესხი	16	(804,010)	(646,553)
გადასახდელი პროცენტი		-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		(60,883)	(125,653)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		(31,650)	(28,989)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	(4,420)	(160,602)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(1,392,986)	(1,632,166)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულება		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
ანარიცხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		(1,392,986)	(1,632,166)
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(684,834)	(394,426)
სულ საკუთარი კაპიტალი		(684,834)	(394,426)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		(2,077,819)	(2,026,592)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნინო კაციტაძე

მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	9	17,233,831
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(10,743,175)
საერთო მოგება		6,490,655
 სხვა შემოსავალი		-
მიწოდების დანახარჯები	11	(1,407,975)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,995)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,086,815)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		-
სხვა ხარჯები	13	(72,138)
საოპერაციო მოგება		3,916,732
 ფინანსური შემოსავალი	14	58,332
ფინანსური დანახარჯები	15	(94,318)
მოგება დაბეგვრამდე		3,880,747
 მოგების გადასახადის ხარჯი		(295,272)
მიმდინარე წლის მოგება		3,585,475
 გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		394,426
დივიდენდის გაცემა		(3,295,067)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		684,834

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნინო კაციტაძე
 მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	394,426	-	394,426
სხვა ცვლილება				-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,585,475	-	3,585,475
დივიდენდის განაწილება		(3,295,067)		(3,295,067)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	684,834	-	684,834

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2020 წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	924,627
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,118,960)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	210,910
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	16,577
სავალუტო კურსის ეფექტი	20,921
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	138,889
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	176,387

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნინო კაციტაძე
 მთ. ბუღალტერი ----- იზა კერესელიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ელბა ექსპორტი“

შპს „ელბა ექსპორტი“ („კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 10 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი **405247834**.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- 18001006131, სულხან ხვედელიძე **33.4%**
- 167119, Zeus Property Holdings Ltd, სეიშელის კუნძულები, **33.3%**
- 10001011033, თეიმურაზ ქველამე **33.3%**

2020 წლის 20 მაისს შპს „საპოვნელა 2007“ მა (ს/კ 204524149) შეიძინა „Zeus Property Holdings“ Ltd-ს და სულხან ხვედელიძის (ს/კ 18001006131) კუთვნილი წილი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ:

- შპს საპოვნელა 2007 (ს/კ 204524149) **66,7 %**
- 10001011033, თეიმურაზ ქველამე **33.3%**

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს კირის წარმოება-რეალიზაცია.

საქონლის რეალიზაცია ხდება როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფელი დილომი, როსტეკვანის ქ., N50 .

ანგარიშგების ვალუტა: თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე ისეთი ოპერაციების დროს, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში:

კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო

გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. მზა პროდუქციის თვითღირებულება გაანგარიშებულია ყველა დანახარჯის გათვალისწინებით, რაც აღირიცხვის სტანდარტების შესაბამისად წარმოადგენს მის მაკომპლექტებელს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს

სესხები. სესხები აღირიცხება რეალური ღირებულებით, კერძოდ საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს კომპანიის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე დეპონირებულ ფულად სახსრებს. რომელზე წვდომაც კომპანიას შეუზღუდავად გააჩნია და რომელიც შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერ დროს. კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს სს საქართველოს ბანკში როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. საბანკო ანგარიშებზე ასახული ინფორმაცია სრულად შეესაბამება ბუღალტრულ მონაცემებს. პერიოდის ბოლოს სავალუტო ანგარიშებზე არსებული სავალუტო ნაშთი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. უცხოელ კონტრაგენტებთან ანგარიშსწორებისას იყენებს უცხოურ ვალუტას აშშ დოლარის სახით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღირიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ,

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3,2766 ლარი;

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის პერიოდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად

განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს 2020 წელში საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადს.

4. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2020 წ.	2019 წ
ნაღდი ფული სალაროში	1,141	70,885
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	116,974	28,439
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	58,272	39,565
სულ	176,387	138,889

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2020 წ.	2019 წ
მოთხოვნები მომსახურებობიდან და მიწოდ;	399,047	717,265
გადახდილი ავანსები	3,741	-
გაცემული სესხები	1,148,996	50,145
სხვა	50,000	50,000
სულ	1,601,784	817,410

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანია მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები წარმოდგენილია:

	2020 წ.	2019 წ.
მზა პროდუქცია	94,681	49,620
ნედლეული და მასალები	63,360	863,477
სულ	158,041	913,097

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა დანადგარე	ოფისის აღჭურვილო	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო	არამატე რიალურ	სულ
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	78,385	21,219	11,663	95,519	2,074	208,859
შემოსვლა	18,844	3,502	(214)	2,000		24,132
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	97,229	24,720	11,449	97,519	2,074	232,991
ცვეთა						
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	(15,973)	(4,554)	(3,428)	(27,087)	(622)	(51,663)
ცვეთის ხარჯი	(14,875)	(4,382)	(2,306)	(17,911)	(415)	(39,888)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა			168			168
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(30,848)	(8,936)	(5,565)	(44,998)	(1,037)	(91,384)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	62,412	16,665	8,235	68,432	1,452	157,196
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	66,381	15,784	5,884	52,522	1,037	141,608

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები

	2020 წ.	2019 წ.
მოთხოვნები მომსახურეობიდან და მიწოდ;	492,022	663,363
მიღებული ავანსები	-	7,006
სულ	492,022	670,370

9. ამონაგები

კომპანიის 2020 წლის ამონაგები შედგება:

	2020 წ.
პროდუქციის რეალიზაცია	16,948,816
მომსახურეობის გაწევა	285,015
სულ	17,233,831

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020 წ.
მასალების დანახარჯები	7,195,789
იჯარა	2,912,011
ხელფასი	602,589
ცვეთა და ამორტიზაცია	32,786
სულ	10,743,175

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისას გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასების მეთოდი.

11. მიწოდების დანახარჯები

	2020 წ.
ტრანსპორტირება	1,212,351
აგენტის მომსახურება	193,839
საწვავი	1,784
სულ	1,407,975

12. ადმინისტრაციული დანახარჯები

კომპანიის 2020 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2020 წ.
შრომის ანაზღაურება	864,725
საიჯარო ქირა	55,949
კომუნიკაციის/კავშირგაბმულობის ხარჯები	4,153
ოფისის ხარჯი	648
მომსახურება	64,184
საკონსულტაციო	3,425
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,481
წარმომადგენლობითი	3,517
საპენსიო ხარჯი	13,597
საკანცელარიო/სამეურნეო ხარჯი	17,903
საბანკო ხარჯები	6,240
სხვა ხარჯი	175
საწვავი	50,819
სულ	1,086,815

13. სხვა დანახარჯები

კომპანიის 2020 წლის სხვა დანახარჯი შედგება სხვა მოგების გადასახადისგან 72138 (სამოცდათორმეტი ათას ასოცდათვრამეტი ლარი) ლარი.

14. ფინანსური შემოსავალი

კომპანიის 2020 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2020 წ.
საპროცენტო შემოსავლები	55,374
არასაოპერაციო მოგება	1,938
სხვა	1,020
სულ	58,332

15. ფინანსური ხარჯები

კომპანიის 2020 წლის ფინანსური ხარჯები შედგება:

	2020 წ.
საპროცენტო ხარჯი	69,375
ქველმოქმედება	11,771
არასაოპერაციო ზარალი	3,334
უარყოფითი საკურსო სხვაობა	9,061
ძირითადი საშ. ჩამოწერა	152
ჯარიმები და საურავები	624
სულ	94,318

16. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
საქართველოს ბანკი აშშ დოლარი		225,460
თი ბი სი ბანკი აშშ დოლარი	244,453	
დარიცხული პროცენტი აშშ დოლარი	927	-
სულ აშშ დოლარი	245,379	225,460
ექვივალენტი ლარში	804,010	828,928

17. სხვა ვალდებულებები

	2020 წ.
საპენსიო შენატანები	4,020
სხვა	400
სულ	4,420

18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმნიშვნელო მოცულობისაა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

20 დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	225,250	227,580
სულ	225,250	227,580

21 დამფუძნებლებზე და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული სესხები

	2020	
	USD	ლარი
დამფუძნებლებზე და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული სესხები:		
საწყისი ნაშთი	-	-
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	399,000	344,454
პერიოდის განმავლობაში დაფარული	(156,463)	-
დარიცხული პროცენტი	17,448	
მიღებული პროცენტი	(14,444)	
სულ პერიოდის ბოლოს	245,542	344,454
ექვივალენტი ლარში	804,542	344,454

22 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
3110 საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	11,837	27,432
1410 საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება	2,117	8,330
სულ	13,954	35,762

23 შემდგომი მოვლენები

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 31 აგვისტოს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(ლარი)

შენიშვნა	01.01.2021	01.01.2020
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	4 176,387	138,889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 1,601,784	817,410
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6 158,041	913,097
სულ მიმდინარე აქტივები	1,936,212	1,869,396
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7 140,571	155,744
არამატერიალური აქტივები	1,037	1,452
საინვესტიციო ქონება	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	141,608	157,196
სულ აქტივები	2,077,819	2,026,592
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	8 (492,022)	(670,370)
მოკლევადიანი სესხი	16 (804,010)	(646,553)
გადასახდელი პროცენტი	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(60,883)	(125,653)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(31,650)	(28,989)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17 (4,420)	(160,602)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,392,986)	(1,632,166)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულება	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-
ანარიცხები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	(1,392,986)	(1,632,166)
საკუთარი კაპიტალი		
რეზერვი		
სააქციო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(684,834)	(394,426)
სულ საკუთარი კაპიტალი	(684,834)	(394,426)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(2,077,819)	(2,026,592)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ნიკოლოზი

ნიკო კაციტაძე

მთ. ბუღალტერი

ეკონომი

იზა კერესელიძე



თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	9	17,233,831
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(10,743,175)
საერთო მოგება		6,490,655
 სხვა შემოსავალი		-
მიწოდების დანახარჯები	11	(1,407,975)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,995)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(1,086,815)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		-
სხვა ხარჯები	13	(72,138)
საოპერაციო მოგება		3,916,732
 ფინანსური შემოსავალი	14	58,332
ფინანსური დანახარჯები	15	(94,318)
მოგება დაბეგვრამდე		3,880,747
 მოგების გადასახადის ხარჯი		(295,272)
მიმდინარე წლის მოგება		3,585,475
 გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		394,426
დივიდენდის გაცემა		(3,295,067)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		684,834

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ნინო კაციტაძე

იზა კერესელიძე



თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	394,426	-	394,426
სხვა ცვლილება				-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,585,475	-	3,585,475
დივიდენდის განაწილება		(3,295,067)		(3,295,067)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	684,834	-	684,834

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2020 წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	924,627
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,118,960)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	210,910
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	16,577
საგაღუტო კურსის ეფექტი	20,921
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	138,889
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	176,387

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 31 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ ნინო კაციტაძე
 მთ. ბუღალტერი _____ იზა კერესელიძე



თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.